პრაქტიკის დოკუმენტი

აღრევის შესაძლებლობა (არაგანმასხვავებელუნარიანი/სუსტი ელემენტების გავლენა)

ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – საქპატენტი

საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის შენიშვნა

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტი მომზადებულია „საერთო კომუნიკაციის“ შესაბამისად, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ქსელის (EUIPN) მიერ შემუშავებული „სასაქონლო ნიშნების საერთო პრაქტიკა“ და მიზნად ისახავს სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრას ნიშნის არაგანმასხვავებელუნარიანი/სუსტი ელემენტების გავლენასთან მიმართებაში ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას. პრაქტიკის დოკუმენტი მოერგო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სპეციფიკურ კრიტერიუმებს და მასში გათვალისწინებულია უწყების ხარისხის სტანდარტები სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია ეროვნულ დონეზე და არის საჯაროდ ხელმისაწვდომი ექსპერტებისა და მოსარგებლეებისთვის, გამჭვირვალობის, კანონთან შესაბამისობისა და პროგნოზირების შემდგომი ამაღლების მიზნით.

საფუძველი

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტის საგანია ნიშნის არაგანმასხვავებელუნარიანი/სუსტი ელემენტების გავლენის განსაზღვრა სადავო ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას.

ეს პრაქტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომია წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, ექსპერტებისა და მოსარგებლეების სასარგებლოდ, გამჭვირვალობის, კანონთან შესაბამისობის და პროგნოზირების შემდგომი ამაღლების მიზნით.

წინამდებარე დოკუმენტში არ მოიაზრება შემდეგი საკითხები:

- ძლიერი განმასხვავებელუნარიანობის ან/და გამოყენებით ან/და რეპუტაციით შეძენილი განმასხვავებელუნარიანობის შეფასება: წინამდებარე პრაქტიკის მიზნებისათვის იგულისხმება, რომ არ არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება და/ან მოთხოვნა და/ან წინასწარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რომელიმე ნიშანი არის რეპუტაციის მქონე ან აქვს გამოყენების შედეგად შეძენილი ძლიერი განმასხვავებელუნარიანობა.
- შეთანხმება იმ ფაქტორების შესახებ, რომელიც მხედველობაში მიიღება აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბევრი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს აღრევის შესაძლებლობის ისეთ საერთო შეფასებაზე, როგორიცაა: დომინანტი ელემენტები, შესაბამისი მომხმარებლის ყურადღების ხარისხი, თანაარსებობა, მდგომარეობა ბაზარზე, ნიშნების ოჯახი და ა. შ., პრაქტიკის მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული ფაქტორების განსაზღვრა.
- შეთანხმება განმასხვავებელუნარიანობის და სხვა ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების შეფასებაზე, რომელიც მხედველობაში მიიღება ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობის დადგენისას. სხვა ფაქტორების შეფასების კრიტერიუმები, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს აღრევის შესაძლებლობის საერთო შეფასებაზე და მათი ურთიერთდამოკიდებულება არ წარმოადგენს წინამდებარე პრაქტიკის მიზანს, რომელიც არ განსაზღვრავს აღრევის შესაძლებლობის საერთო შეფასებას, არამედ ეხება მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს.
- ენობრივი საკითხები: აღნიშნული პრაქტიკის მიზნებისთვის, ნიშნები, რომლებიც შეიცავს არაგანმასხვავებელუნარიან ან სუსტ ინგლისურ სიტყვიერ ელემენტს მიიჩნევა არაგანმასხვავებელუნარიან ან სუსტ ნიშნად ყველა ენაზე და მათი მნიშვნელობა ცნობილია ეროვნული უწყებებისთვის.

1. პრაქტიკა

პრაქტიკის ოთხი ძირითადი მიზანი:

მიზანი 1	*განისაზღვროს, თუ რომელი ნიშნები ექვემდებარება განმასხვავებელუნარიანობის შეფასებას: უფრო ადრინდელი ნიშანი (და/ან მისი ნაწილი) და/ან უფრო გვიანდელი ნიშანი (და/ან მისი ნაწილი)*
პრაქტიკა	აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას: • ფასდება უფრო ადრინდელი ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა მთლიანობაში, იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა განმასხვავებელუნარიანობის გარკვეული ხარისხის დადგენა. • აგრეთვე, ფასდება უფრო ადრინდელი ნიშნის ყველა კომპონენტის განმასხვავებელუნარიანობა. ამასთანავე, უპირატესობა ენიჭება ნიშნების საერთო ელემენტებს.

მიზანი 2	*განისაზღვროს ნიშნის (და/ან მისი ნაწილის) განმასხვავებელუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები*
პრაქტიკა	შედარებითი საფუძვლების შეფასებისას, ნიშნების განმასხვავებელუნარიანობის დასადგენად, გამოიყენება იგივე კრიტერიუმები, რაც დადგენილია ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებთან დაკავშირებით. თუმცა, შედარებით საფუძვლებში, ეს კრიტერიუმები გამოიყენება არა მხოლოდ მინიმალური განმასხვავებელუნარიანობის, არამედ განმასხვავებელუნარიანობის სხვადასხვა ხარისხის დასადგენად.

მიზანი 3	*განისაზღვროს აღრევის შესაძლებლობის გავლენა, როდესაც საერთო ელემენტებს აქვთ სუსტი განმასხვავებლობა*

პრაქტიკა	• როდესაც ნიშნებს აქვთ სუსტი განმასხვავებლობის მქონე საერთო ელემენტი, აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ნიშნების განსხვავებული ელემენტების ზეგავლენა ნიშნების საერთო შთაბეჭდილებაზე. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მსგავსება/განსხვავებები და განსხვავებული ელემენტების განმასხვავებლობის ხარისხი.
	• სუსტი განმასხვავებლობის მქონე ელემენტების მსგავსება, როგორც წესი, არ იწვევს აღრევის შესაძლებლობას.
	• თუმცა, შეიძლება არსებობდეს აღრევის შესაძლებლობა, თუ:
	  • სხვა კომპონენტებს აქვს კიდევ უფრო სუსტი (ან ასეთივე სუსტი) განმასხვავებლობა, ან უმნიშვნელო ვიზუალური ზეგავლენა და ნიშნები საერთო შთაბეჭდილება მსგავსია.
	  • ან ნიშნების საერთო შთაბეჭდილება ძალიან მსგავსი ან იდენტურია.

მაგალითები	*აღრევის შესაძლებლობის არარსებობა*	*აღრევის შესაძლებლობა*
	MORELUX vs. **INLUX** (კლასი 44: სილამაზის სალონის მომსახურება)	**COSMEGLOW** vs. **COSMESHOW** (კლასი 3: კოსმეტიკური საშუალებები)
	flexi solutions flexi credit vs. (კლასი 9: საკრედიტო ბარათები)	 vs. (კლასი 43: დასასვენებელი სახლებით მომსახურება)

მიზანი 4	*განისაზღვროს არაგანმასხვავებელუნარიანი საერთო ელემენტების გავლენა, აღრევის შესაძლებლობაზე*	
პრაქტიკა	• როდესაც ნიშნებს აქვთ არაგანმასხვავებელუნიარიანი საერთო ელემენტი, აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ნიშნების განსხვავებული ელემენტების ზეგავლენა ნიშნების საერთო შთაბეჭ-დილებაზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსგავსება/განსხვავებები და განსხვავებული ელემენტების განმასხვავებელუნარიანობის ხარისხი. • არაგანმასხვავებელუნიარიანი ელემენტების მსგავსება, როგორც წესი, არ იწვევს აღრევის შესაძლებლობას • როდესაც ნიშნები შეიცავს სხვა მსგავს გამოსახულებით ან/და სიტყვიერ ელემენტებს, ჩაითვლება, რომ არსებობს აღრევის შესაძლებლობა, თუ ნიშნებს აქვთ ძალიან მსგავსი ან იდენტური საერთო შთაბეჭდილება.	
მაგალითები	*აღრევის შესაძლებლობის არარსებობა*	*აღრევის შესაძლებლობა*
	BUILDGRO vs. BUILDFLUX (კლასი 19: სამშენებლო მასალები კლასი 37: სამშენებლო მომსახურება)	**TRADENERGY** vs. **TRACENERGY** (კლასი **9**: მზის ენერგიის კოლექტორები, ელექტროენერგიის წარმოებისათვის)
	BANCO MADRID INVEST BANCO INVEST vs. (კლასი 36: ფინანსური ოპერაციები)	ECO ENERGY ECO ENERGY vs. (კლასი **9**: მზის ენერგიის კოლექტორები, ელექტროენერგიის წარმოებისათვის)

პრაქტიკა

აღრევის შესაძლებლობა (არაგანმასხვავებელუნარიანი/ სუსტი ელემენტების გავლენა) უარის თქმის შედარებითი საფუძვლები

სარჩევი

1. შესავალი 1

2. პაქტიკის ფარგლები 1

3. პრაქტიკა 3

3.1 განმასხვავებელუნარიანობის შეფასება: ადრინდელი ნიშანი ან/და მისი ნაწილი ან/და გვიანდელი ნიშანი ან/და მისი ნაწილი (მიზანი 1) 3

3.2 ნიშნის (ან/და მისი ნაწილების) განმასხვავებელუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები (მიზანი 2) 4

3.3 აღრევის შესაძლებლობის გავლენა, როდესაც საერთო ელემენტებს აქვთ სუსტი განმასხვავებლობა (მიზანი 3) 4

3.4 არაგანმასხვავებელუნარიანი საერთო ელემენტების გავლენა აღრევის შესაძლებლობაზე (მიზანი 4) 6

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პრაქტიკის სახელმღვანელოს ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისთვის, მოსარგებლეთა ასოციაციებისთვის, განმცხადებლებისთვის, ოპონენტებისთვის და წარმომადგენლებისთვის, რომელიც ეხება ნიშნის არაგანმასხვავებელუნარიანი/სუსტი ელემენტების აღრევის შესაძლებლობის შეფასებას. ამასთან, იგულისხმება, რომ სადავო ნიშნების განცხადებული საქონელი ან/და მომსახურება არის იდენტური. დოკუმენტი იქნება ფართოდ გავრცელებული და ადვილად ხელმისაწვდომი **და უზრუნველყოფს იმ პრინციპების მკაფიო და დეტალურ განმარტებას, რომელსაც დაეფუძნება პრაქტიკა.** ეს პრინციპები გამოყენებული იქნება ზოგადად და მისი მიზანია მოიცვას შემთხვევების მაქსიმალური რაოდენობა. რამდენადაც, აღრევის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად.

პრაქტიკა იქნება ერთგვარი სახელმძღვანელო იმის უზრუნველსაყოფად, რომ იდენტური ნიშნებისა და საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, სხვადასხვა უწყება მივიდეს მსგავს, პროგნოზირებად გადაწყვეტილებამდე.

2. პაქტიკის ფარგლები

პრაქტიკის ფარგლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

*„წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს **ნიშნების არაგანმასხვავებელუნარიან/სუსტ ელემენტებთან მიმართებაში აღრევის შესაძლებლობის** შეფასების პრაქტიკას, იმ ვარაუდით, რომ **საქონელი ან/და მომსახურება იდენტურია.** კერძოდ:*

- *განისაზღვროს, თუ რომელი ნიშნები ექვემდებარება განმასხვავებელუნარიანობის შეფასებას: უფრო ადრინდელი ნიშანი (ან/და მისი ნაწილი) ან/და უფრო გვიანდელი ნიშანი (ან/და მისი ნაწილი);*
- *განისაზღვროს ნიშნის (ან/და მისი ნაწილის) განმასხვავებელუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები;*
- *განისაზღვროს აღრევის შესაძლებლობის გავლენა, როდესაც საერთო ელემენტებს აქვთ სუსტი განმასხვავებლობა;*
- *განისაზღვროს არაგანმასხვავებელუნარიანი საერთო ელემენტების გავლენა, აღრევის შესაძლებლობაზე.*

როგორც ცნობილია, აღრევის შესაძლებლობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, თუმცა, როგორც არაერთხელ განიმარტა სასამართლოს მიერ, აღრევის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს **გლობალურად**, საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოებების გათვალისწინებით.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო

შთაბეჭდილებას“ (საქპატენტის სააპელაციო პალატის 2019 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება N135-3/2019 გვ. 5. საქმე – FIAC S.p.A. vs Fiat Group Marketing & Corporate Communication S.p.A. (FIAC VS FIAT, ФИАТ); თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის N2ბ/5995-15 გადაწყვეტილება, საქმე “The coca-cola company” vs შპს „ლუზი კომპანი“ გვ. 26-28.).

როგორც უკვე აღინიშნა, პრაქტიკის ფარგლებში, გაანალიზებულია ნიშნების არაგანმასხვავებელუნარიანი/სუსტი ელემენტების ზეგავლენა, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას.

თუმცა, არსებობს **მრავალი** სხვა **ფაქტორი**, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **აღრევის შესაძლებლობის გლობალურ შეფასებაზე**, როგორიცაა დომინანტი ელემენტები, შესაბამისი მომხმარებლის ყურადღების ხარისხი, თანაარსებობა, ბაზარზე არსებული სიტუაცია, ნიშნების ოჯახი და ა.შ. ამ პრაქტიკის მიზანს არ წარმოადგენს განსაზღვროს ყველა ეს ფაქტორი, არც მათი შეფასების კრიტერიუმები და, მათ შორის, ურთიერთდამოკიდებულება. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში საუბარია არა, ზოგადად, აღრევის შესაძლებლობის, არამედ მხოლოდ მისი ერთ-ერთი ნაწილის შეფასებაზე.

პრაქტიკა არ მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ძლიერი განმასხვავებელუნარიანობის ან/და გამოყენებით ან/და რეპუტაციით შეძენილი განმასხვავებელუნარიანობის შეფასება: წინამდებარე პრაქტიკის მიზნებისათვის იგულისხმება, რომ არ არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება ან/და მოთხოვნა ან/და წინასწარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რომელიმე ნიშანი არის რეპუტაციის მქონე ან აქვს გამოყენების შედეგად შეძენილი ძლიერი განმასხვავებელუნარიანობა.
- შეთანხმება იმ ფაქტორების შესახებ, რომელიც მხედველობაში მიიღება აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას.
- შეთანხმება განმასხვავებელუნარიანობის და სხვა ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების შეფასებაზე, რომელიც მხედველობაში მიიღება ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობის განსაზღვრისას.
- ენობრივი საკითხები: აღნიშნული პრაქტიკის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ ნიშნები, რომლებიც შეიცავს არაგანმასხვავებელუნარიან ან სუსტ ინგლისურ სიტყვიერ ელემენტებს, მიიჩნევა არაგანმასხვავებელუნარიან ან სუსტ ნიშნად ყველა იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ეროვნული უწყებებისთვის.

როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა გამოსახული, შესაძლოა გამოიყოს 4 ძირითადი მიზანი:



პრაქტიკის მიზნები

აღრევის შესაძლებლობის შესაფასებლად გამოიყენება რამდენიმე მიდგომა, სადაც ელემენტების განმასხვავებელუნარიანობა შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა ეტაპზე. გამოყენებული მიდგომის მიუხედავად, პრაქტიკული შედეგი ნიშნების არაგანსმასხვავებელუნარიანი/სუსტი ელემენტების გავლენასთან დაკავშირებით იქნება უცვლელი.

3. პრაქტიკა

3.1 განმასხვავებელუნარიანობის შეფასება: ადრინდელი ნიშანი ან/და მისი ნაწილი ან/და გვიანდელი ნიშანი ან/და მისი ნაწილი (მიზანი 1)

აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას:

- ფასდება მთლიანობაში უფრო ადრინდელი ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა.
- ასევე, ფასდება **ადრინდელი** და **გვიანდელი** ნიშნების ყველა ელემენტის განმასხვავებელუნარიანობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთო ელემენტებს.

აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას ადრინდელი ნიშნის ვალიდურობა არ დგება ეჭვქვეშ. შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს, რომ ადრინდელ დაპირისპირებულ ნიშანს აქვს გარკვეული ხარისხის განმასხვავებლობა.

3.2 ნიშნის (ან/და მისი ნაწილების) განმასხვავებელუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები (მიზანი 2)

ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას და შესაბამისად, იმის დასადგენად აქვს თუ არა მას ძლიერი განმასხვავებელობა, ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად შესწევს ნიშანს უნარი მოახდინოს რეგისტრირებული საქონლისა ან მომსახურების იდენტიფიცირება კონკრეტულ საწარმოსთან და შესაბამისად განასხვავოს აღნიშნული საქონელი და მომსახურება სხვა საწარმოს საქონლისა და მომსახურებისგან.

შესაბამისად, ვინაიდან სუსტ ნიშანს ნაკლებად შესწევს უნარი შეასრულოს სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქცია, არაგანმასხვავებელუნარიანი (ან სუსტი) ელემენტების გათვალისწინებით, მისი დაცვის ფარგლები უფრო ვიწროა.

შედარებითი საფუძვლების დროს ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას, გამოიყენება იგივე კრიტერიუმები, რაც აბსოლუტური საფუძვლებისას. თუმცა, შედარებით საფუძვლებში ეს კრიტერიუმები გამოიყენება არა მხოლოდ იმის განსასაზღვრად, აქვს თუ არა ნიშანს მინიმალური განმასხვავებელუნარიანობა, არამედ განმასხვავებელუნარიანობის სხვადასხვა ხარისხის დასადგენადაც.

3.3 აღრევის შესაძლებლობის გავლენა, როდესაც საერთო ელემენტებს აქვთ სუსტი განმასხვავებლობა (მიზანი 3)

- როდესაც ნიშნებს აქვთ სუსტი განმასხვავებლობის მქონე საერთო ელემენტი(ები), აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ნიშნების განსხვავებული ელემენტების ზეგავლენა ნიშნების საერთო შთაბეჭდილებაზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსგავსება/განსხვავებები და განსხვავებული ელემენტების განმასხვავებლობის ხარისხი.
- სუსტი განმასხვავებლობის მქონე ელემენტების მსგავსება, როგორც წესი, არ იწვევს აღრევის შესაძლებლობას.

თუმცა, შეიძლება არსებობდეს აღრევის შესაძლებლობა, თუ:

- სხვა კომპონენტებს აქვთ ასეთივე ან კიდევ უფრო სუსტი განმასხვავებლობა, ან უმნიშვნელო ვიზუალური ზეგავლენა და ნიშნების საერთო შთაბეჭდილება მსგავსია.

  ან
- ნიშნების საერთო შთაბეჭდილება ძალიან მსგავსია ან იდენტურია.

მაგალითები

* ყველა სხვა ფაქტორი, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას, მიიჩნევა, რომ არ ახდენს გავლენას გადაწყვეტილებაზე. ასევე, მიიჩნევა, რომ სადავო ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი იდენტურია.

ყველა ქვემოთ მოცემულ მაგალითში მიიჩნევა, რომ საერთო ელემენტს(ებს) აქვს სუსტი განმასხვავებელუნარიანობა.

ადრინდელი ნიშანი	სადავო ნიშანი	საქონელი/ მომსახურება	შედეგი
MORELUX	INLUX	კლასი 44: სილამაზის სალონის მომსახურება	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
DURALUX	VITALUX	კლასი 44: სილამაზის სალონის მომსახურება	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
		კლასი 32: ხილის წვენი	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
		კლასი 9: საკრედიტო ბარათები	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
		კლასი 32: ხილის წვენი	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
		კლასი 30: ჩაი	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
		კლასი 9: საკრედიტო ბარათები	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
COSMEGLOW	COSMESHOW	კლასი 3: კოსმეტიკური საშუალებები	აღრევის შესაძლებლობა
		კლასი 11: მაცივრები	აღრევის შესაძლებლობა
		კლასი 43: განთავსების მომსახურება დასვენებისთვის	აღრევის შესაძლებლობა

3.4 არაგანმასხვავებელუნარიანი საერთო ელემენტების გავლენა აღრევის შესაძლებლობაზე (მიზანი 4)

- როდესაც ნიშნებს აქვთ არაგანმასხვავებელუნიარიანი საერთო ელემენტი, აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება ნიშნების განსხვავებული ელემენტების ზეგავლენა ნიშნების საერთო შთაბეჭდილებაზე. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მსგავსება/განსხვავებები და განსხვავებული ელემენტების განმასხვავებლობის ხარისხი.
- არაგანმასხვავებელუნიარიანი ელემენტების მსგავსება, როგორც წესი, არ იწვევს აღრევის შესაძლებლობას.
- როდესაც ნიშნები შეიცავენ, აგრეთვე, სხვა გამოსახულებით ან/და სიტყვიერ ელემენტებს, რომლებიც ასევე მსგავსია, ჩაითვლება, რომ არსებობს აღრევის შესაძლებლობა, თუ ნიშნებს აქვს ძალიან მსგავსი ან იდენტური საერთო შთაბეჭდილება.

მაგალითები

* ყველა სხვა ფაქტორი, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას, მიიჩნევა რომ არ ახდენს გავლენას გადაწყვეტილებაზე. ასევე მიიჩნევა, რომ სადავო ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი იდენტურია.

ყველა ქვემოთ მოცემულ მაგალითში მიიჩნევა, რომ საერთო ელემენტი(ები) არაგანმასხვავებელუნარიანია.

უფრო ადრეული ნიშანი	სადავო ნიშანი	საქონელი/მომსახურება	შედეგი
GREENGRO	GREENFLUX	კლასი 19: სამშენებლო მასალები კლასი 37: სამშენებლო მომსახურება	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
BUILDGRO	BUILDFLUX	კლასი 19: სამშენებლო მასალები კლასი 37: სამშენებლო მომსახურება	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
smartphones pleasure of connecting	SMARTPHONES.NET	კლასი 9: მობილური ტელეფონები	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს

BANCO MADRID INVEST	BANCO INVEST	კლასი 36: ფინანსური ოპერაციები	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
FRESH SARDINE	Fresh Sardine!	კლასი 29: თევზი	აღრევის შესაძლებლობას ადგილი არ აქვს
CRE-ART	**PRE-ART**	კლასი 41: სამხატვრო გალერეის მომსახურება	აღრევის შესაძლებლობა
TRADENERGY	**TRACENERGY**	კლასი 9: მზის ენერგიის კოლექტორები, ელექტროენერგიის წარმოებისათვის)	აღრევის შესაძლებლობა
ECO ENERGY	ECO ENERGY	კლასი 9: მზის ენერგიის კოლექტორები, ელექტროენერგიის წარმოებისათვის)	აღრევის შესაძლებლობა

პრაქტიკის დოკუმენტი.

2020 წ.